ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ44.442109124**

თარიღი:**01/04/2021**

ქ.ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული

პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების კონკურსის გამოცხადებისა და

დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების'' პროგრამის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესაძლებლობების განვითარების, რეალიზების, დასაქმების ხელშეწყობისა მიზნით მიზანშეწონილია კონკურსის შედეგად შეირჩეს საუკეთესო პროექტი/პროექტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის № 167-ე დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესაძლებლობების განვითარების, რეალიზების, დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, საუკეთესო პროექტი/პროექტების შესარჩევად.

2. კონკურსის ორგანიზებისა და საუკეთესო პროექტი/პროქტების გამოვლენის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნეს დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ირაკლი ქარქაშაძე - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე /კომისიის თავმჯდომარე/

ფიქრია ხაჭაპურიძე - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის მ/შ /კომისიის თავმჯდომარის მოადგილე/

დავით ნიშნიანიძე - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი. /წევრი/

მირზა მამასახლისი - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი. /წევრი/

ირაკლი გიორგაძე - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი. /წევრი/

მამუკა რიჟამაძე - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. /წევრი/

ემზარ ღვინიანიძე - იმერეთის რეგიონალური სავაჭრო სამრეწველო პალატის უფროსის მოადგილე /წევრი/

დავით ჩხობაძე - ააიპ იმერეთის განვითარების ცენტრის დირექტორი. /წევრი/

ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო ინტელექტუალური კლუბ ,,თაობათა დიალოგის'' თავმჯდომარე /წევრი/

თეონა ფურცხვანიძე - ,,ფიფლ ინ ნიდ''-ის (PIN) სოციალური პროექტების კოორდინატორი. /წევრი/

3. დროებითმა კომისიამ გამოავლინოს კონკურსზე წარმოდგენილი საუკეთესო პროექტი/ პროექტები.

4.დროებითი კომისიის თავმჯდომარეს მიენიჭოს უფლებამოსილება, საკონკურსო კომისიის წევრად დამატებით მოიწვიოს პროექტის ფარგლებში დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით. მათი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.

5.დამტკიცდეს დროებითი საკონკურსო კომისიის დებულება დანართი N1-ის შესაბამისად /თან ერთვის/.

6.დამტკიცდეს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ წარმოდგენილი ქ.ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტი/პროექტების დაფინანსება /თანადაფინანსების კონკურსის პროგრამა და პირობები დანართი N2-ის შესაბამისად /თან ერთვის/.

7.ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულმა სამსახურმა /პ.ადამაძე/ უზრუნველყოს კონკურსის პირობების შესახებ განცხადების გამოქვეყნება ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებებით.

8. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

9.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქ. №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

10. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი